

1986



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებითა  
და  
ინსტრუქციითა  
პრეზული

ISSN 0206-2674

თბილისი  
1986

მაისი

№ 5

МАИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК  
ПРИКАЗОВ

И

ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ  
1986



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1986 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება

1985—1986 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და  
1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების  
ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში 1985—1986 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს 1985—1986 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).
2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გეგმით გათვალისწინებული საკითხების განუხრელად განხორციელებისათვის.
3. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს (ამხ. ლ. გაგუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

F5400





დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კვლევითი ცენტრის  
გის 1986 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით

**1985—1986 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და  
ახალი 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად  
დაწყების ღონისძიებათა გ ე გ მ ა**

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
	<b>I. 1985—1986 სასწავლო წლის დამთავრების ორგანიზება</b>		
1	საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ ინსტრუქციის მომზდება, დამტკიცება და ადგილებზე დაყვანა	აპრილი	სკოლების სამმართველო
2	VIII და X (XI) კლასებისათვის საგამოცდო ბიულეტენების მომზადება	აპრილი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
3	საშუალო განათლების ატესტატების, რვა კლასის დამთავრების მოწმობების, ქების სიგელების, ფურც-	აპრილი—მაისი	სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო


1	2	3	4
	<p>ლების, ავტომძღოლის, ტრაქტორის მართვისა და მანქანაზე ბეჭდვის მოწმობების, სასკოლო დოკუმენტაციის დაკვეთა და აღვილებზე დაგზავნა</p>		
4	<p>რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება</p>	<p>მაისი</p>	<p>სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატების სამმართველო</p>
5	<p>საგამოცდო თემების შედგენა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ამოცანებისა და მავალითების ვარიანტების შერჩევა მათემატიკაში</p>	<p>აპრილი—მაისი</p>	<p>სკოლების სამმართველო, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
6	<p>კონტროლის დაწესება გამოცდების მიმდინარეობაზე, საშინისტროს წარმომადგენლების მივლინება</p>	<p>მაისი—ივნისი</p>	<p>სკოლების სამმართველო, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
7	<p>ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების გადამმოწმებელი კომისიების შექმნა, მათი მუშაობის ორგანიზება</p>	<p>მაისი—ივნისი</p>	<p>სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
8	<p>სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტელე და რადიო გადაცემების ორგანიზება, სტატიების რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნება</p>	<p>მაისი</p>	<p>აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებთან ერთად</p>



1	2	3	4
9	შენვედრები სკკ 27-ე და საქართველოს კ 27-ე ყრილობების დედეგატებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, შრომისა და ომის ვეტერანებთან, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებთან		აღმზრდელითი მუშაობის სამართ-ველო ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად
10	გამოსაშვები საღამოების ორგანიზაცია საბაზო და წესებულეებებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით	მაისი—ივნისი	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად
11	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულეებზე ოქროს მედლების საზეიმოდ გადაცემის ცერემონილის ორგანიზაცია	ივნისი	აღმზრდელითი მუშაობისა და სკოლების სამმართველოები
12	მე-3 შრომითი სემესტრის მონაწილეთა ტრადიციული შეკრებების ჩატარება	ივნისი	აღმზრდელითი მუშაობის სამმართველო
<b>II. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება</b>			
1	ახალი სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტებიდან და პედაგოგიური ინსტიტუტებიდან რესპუბლიკის სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე გაგზავნა	აპრილი—ივნისი	კადრების სამმართველო
2	რესპუბლიკაში საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა და აღმზრდელთა სიების დაზუსტება და პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე მათი ჩაბმის ორგანიზება	აპრილი—ივნისი	კადრების სამმართველო



1	2	3	4
3	კონკურსგარეშე და მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩასარიცხად სპეციალობების მიხედვით განსაზღვრული რაოდენობის კანდიდატურების შერჩევა, მათი პედაგოგიურ ინსტიტუტებში მივლინება	აპრილი—ივნისი	კადრების სამმართველო
4	რევატიზმით დაავადებულ ბავშვთა სანატორიული სკოლა-ინტერნატის, მომწელებელი ორგანოების დაავადებათა მქონე ბავშვთა სანატორიული სკოლა-ინტერნატის, ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვების სანატორიული სკოლა-ინტერნატის და სასუნთქი ორგანოების ქრონიკულ, არასპეციფიკურ დაავადებათა მქონე ბავშვთა სანატორიული სკოლა-ინტერნატის დებულების მომზადება-დამტკიცება	მაისი	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად
5	რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პედაგოგიურ ინსტიტუტებში კოოპერირების წესით მასწავლებელთა კადრების მომზადების ორგანიზება, მიზნობრივი კონტინენტის განსაზღვრა კანდიდატურების შერჩევა-მივლინება	აპრილი—ივლისი	კადრების სამმართველო
6	სახელმძღვანელოების ბეჭდვის უზრუნველყოფა გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე — ქართული სკოლებისათვის 82 დასახელების, რუსული სკოლებისათვის 5 დასახელების, აზერბაიჯანული სკოლებისათვის 6 დასახელებისა და სომხური სკოლებისათვის 5 დასახელების	1-ლ აგვისტომდე	სახელმძღვანელოების სამმართველო



1	2	3	4
7	„ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მე-10 კლასის ახალი სახელმძღვანელოს შექმნა-გამოცემის უზრუნველყოფა	1-ლ აგვისტომდე	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, მთავარი გამოთვლითი ცენტრი
8	რუსულიდან თარგმნილი „საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემის უზრუნველყოფა	1-ლ აგვისტომდე	სახელმძღვანელოების სამმართველო
9	რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა უზრუნველყოფა საპირო დახაზულობის რვეულებითა და დღიურებით; შესაბამის ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება		სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
10	ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესწავლა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში	ივლისი	სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი
11	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდური ლიტერატურითა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფა	20 აგვისტო	სკოლების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
12	1986 წლის გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმება და მათი დროულად ჩაბარების უზრუნველყოფა	10 აგვისტო	კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო



1	2	3	4
13	ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთისა და სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის საბავშვო სახლების ახალი კომპლექტების საქსპლუტაციოდ გადაცემა	20 აგვისტომდე	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მშენებლობის სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო
14	მშენებარე ობიექტების საჭირო სახისა და რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, ავეჯით, სასწავლო მოწყობილობებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა	25 აგვისტო	მომარაგების მთავარი სამმართველო
15	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სასწავლო-მატერიალური ბაზის მთლიანი კომპლექტების შექმნა, განსაკუთრებით, იარაღის შესანახი ოთახების მოწყობა სათანადო ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად	30 აგვისტომდე	დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
16	გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე და ზოგადსაგანმანათლებლო სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატების (სკოლების) მოსწავლეებით დაკომპლექტების მიმდინარეობის კონტროლი	25 აგვისტომდე	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
17	სკოლამდელი დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობისა და მზადყოფნის შემოწმება (შერჩევით)	20 აგვისტომდე	სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
18	საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალაზრდების აღრიცხვა და სწავლებაში ჩაბმის უზრუნველყოფა	მაისი—აგვისტო	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები



10

1	2	3	4
19	<p>საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1985 წლის 19 დეკემბრის დადგენილებისა „რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების შუქზე საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ამჟამად არსებული კონტინენტის (მოსწავლეები) გადამოწმება, საშუალო სკოლების ქსელის რაციონალიზაცია</p>	<p>მაისი—ივნისი</p>	<p>საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო</p>
20	<p>საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის</p>	<p>მაისი—ივნისი</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
21	<p>ზოგიერთ საბავშვო სახლსა და სპეცსკოლა-ინტერნატში (სკოლებში) შრომითი სწავლების პროფილების გადასინჯვა მათი შეცვლის მიზნით</p>	<p>20 აგვისტომდე</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
22	<p>საბავშვო სახლების, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების რეაკლამაციურად აღსაზრდელთა შემდგომი სწავლების უზრუნველყოფა</p>	<p>ივნისი</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო</p>
23	<p>გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე და ზოგადსაგანმანათლებლო სანატორიული ტიპის სკოლა-ინ-</p>	<p>20 აგვისტომდე</p>	<p>სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, რესპუბლიკის</p>



1	2	3	4
	ტერნატების ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებულ მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტება		რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად
24	ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხებების მქონე ბავშვთა სპეციალური კლასების გახსნის მიზნით ქ. სოხუმში საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება	20 აგვისტომდე	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო
25	სასკოლო სასაბუღალტრო და ბუფეტების 1985—1986 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება	ივლისი—აგვისტო	სკოლების სამმართველო
26	სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო ბაზრობების მოწყობა	10 სექტემბერი	რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად
	<b>III. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მომზადება და ჩატარება</b>		
1	დღის წესრიგისა და ძირითადი მომხსენებლების განსაზღვრა	ივლისი	სკოლების სამმართველო
2	თათბირების ჩატარებისა და სექციური მუშაობისათვის რეკომენდაციების, მეთოდოლოგიური მითითებების მომზადება და სახალხო განათლების ორგანოებამდე მათი დაყვანა	20 აგვისტო	სკოლების სამმართველო

1	2	5	4
3	ავვისტოს თათბირებზე გამოქმეული კრიტიკული შენიშვნების, წინადადებების ანალიზი, მათი რეალიზაციის მიზნით ღონისძიებათა დასახვა და შედეგების შეჯამება	სექტემბერი, ოქტომბერი	სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები
4	სამხედრო ხელმძღვანელების 5-დღიანი სასწავლო-მეთოდური შეკრების ჩატარება  <b>IV. სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება</b>	20 ავვისტოდან	დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
1	სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების საზეიმოდ გაფორმება	ავვისტო	რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
2	საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის „ცოდნის დღის“ ორგანიზაცია — სკოლებში სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი ცერემონიალის, მიტინგებისა და ზეიმების ჩატარება შეფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით	სექტემბერი	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
3	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მშობელთა გაერთიანებული კრებების ჩატარება თემაზე: „მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერ-	სექტემბერი	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

1	2	3	4
4	თობლივი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ ახალი სასწავლო წლის დაწყების შედეგების შეჯამება	სექტემბერი	სკოლების სამმართველო სამინისტროს სხვა სამმართველო-განყოფილებებთან ერთად



სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებში  
შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით განათლების  
სამინისტროსა და სახალხო განათლების ორგანოების  
ამოცანების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები ითვალისწინებს სკკპ 27-ე ყრილობის მიერ დასახულ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს. ისინი იმ ამოცანებიდან გამომდინარეობენ, რომლებიც სახალხო განათლების სისტემას ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადმა მიმართულებებმა დაუსახა.

ამასთან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება-წახალისების, რეკომენდაციების, დახასიათებების, ლიმიტების გაცემის, პედაგოგიური სასწავლებლების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ფორმებზე შედგავთების გავრცელების არსებული წესი გადახედვას, შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

არის შემთხვევები, როცა სკოლები და სახალხო განათლების ორგანოები კურსდამთავრებულებზე რეკომენდაცია-დახასიათებების გაცემის, ლიმიტების გამოყოფის დროს არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნასა და მიდრეკილებას, უნარ-ჩვევებს, ანგარიშს არ უწევენ კადრებზე ადგილობრივ მოთხოვნებს. ზოგჯერ შეღავათის უფლება ეძლევათ იმათ, ვინც ამას არ იმსახურებს.

ზოგჯერ ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოები ანგარიშს არ უწევენ კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნებს, ზოგადი საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოსწავლელებს სათანადო პირობებს არ უქმნიან უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაუსწრებლად სწავლებისათვის. ზოგიერთი პედაგოგი ერთმანეთს ვერ უთავსებს სწავლებასა და შრომით საქმიანობას, რასაც, არცთუ იშვიათად, შედეგად მოსდევს აკადემიური ჩამორჩენა და ინსტიტუტიდან გასვლა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება-წახალისების, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესებით გათვალისწინებული შეღავათების დაშვების, პედაგოგიური კადრის მომზადების სრულყოფის მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,



სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. განიხილონ და გააანალიზონ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები, სათანადო განმარტებებით დაიყვანონ ისინი სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებამდე, გამოსაშვები კლასების მოსწავლეებსა და მშობლებამდე.

1. 2. სისტემატურად სრულყონ სკოლებში პედაგოგიური საპროფორიენტაციო მუშაობა. ამაღლონ თითოეული სკოლის პედაგოგიური კოლექტივის პასუხისმგებლობა კურსდამთავრებულთათვის რეკომენდაცია-დანასიათებების გაცემაზე. უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში რეკომენდაცია-დანასიათების გაცემის უფლება მიეცეთ მხოლოდ სოფლის სკოლებს. ამასთან იმ სპეციალობებზე, რომლებიც შესაბამის რეგიონს ესაჭიროება. რეკომენდაცია-დანასიათებების აღრიცხვა მოხდეს სამინისტროს კადრების სამმართველოში სათანადო პროგნოზირების საფუძველზე.

1. 3. სისტემატური კონტროლი დააწესონ რეკომენდებულთა სწავლების მდგომარეობაზე, მკაცრი ზომები განახორციელონ მათ მიმართ, რომელთა მიერ რეკომენდებულებმაც ვერ გააპართლეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ან გაირიცხნენ აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

1. 4. უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაუსწრებელ სწავლებებზე წარსაგზავნად დროულად შეარჩიონ პერსპექტიული მასწავლებლები ერთი და მეტი წლის სტაჟით. მათთან ჩაატარონ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. კანდიდატურათა სიები 1-ლ ივნისამდე გადაუგზავნონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

2. სკოლებისა და კადრების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. თ. ტატიშვილი, ა. ვაჩნაძე) შეისწავლონ რესპუბლიკის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დაუსწრებელ სტუდენტ-მასწავლებელთა სწავლებისა და შრომითი საქმიანობის შეთავსების მდგომარეობა. მიიღონ ზომები ჩამორჩენის შემთხვევათა აღმოფხვრისათვის.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჭირო რაოდენობით გამრავლება და ადგილებზე დაგზავნა. კონტროლი მის შესრულებასზე დააწესოს მინისტრის მოადგილემ ამხ. ნ. ჩიკვილაძემ.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვახაძე

სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის  
27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში  
რესპუბლიკის სახალხო განათლების ამოცანების შესახებ

კოლეგიამ რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის მონაწილეობით განიხილა რა სახალხო განათლების ორგანოების, მთლიანად სისტემის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდური დაწესებულებების ამოცანები სკკპ 27-ე ყრილობის, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის ტემპსა და სიღრმეში არსებული ნაკლოვანებების დაძლევის შესახებ, აღნიშნავს, რომ ძირეულმა გარდატეხამ ცხოვრების ყველა სფეროში, სკკპ 27-ე ყრილობის მიერ განსაზღვრულმა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დააყენა ახალი, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და სერიოზული ამოცანები.

რესპუბლიკის პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი კმაყოფილებით აღიქვა სკკპ 27-ე ყრილობის მუშაობა, რომელიც გამსჭვალული იყო განახლების, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით. ყრილობის მთელ მუშაობას ახასიათებდა პარტიული პრინციპულობისა და ერთობის, მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გაბედული გამოვლენის, ჩვენი საზოგადოების განვითარების შინაგანი და გარემომცველი პირობების ღრმა ანალიზის ატმოსფერო. სკკპ ყრილობის მიერ წამოყენებული სახალხო განათლების ერთიანი უწყვეტი სისტემის შექმნის ამოცანა პირველ რიგში მოითხოვს სკოლის რეფორმის თანმიმდევრულ განხორციელებას.

საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობაზე, რომელმაც მე-12 ხუთწლედანი სკოლაზე საყოველთაო ზრუნვის ხუთწლედად გამოაცხადა, ერთხელ კიდევ დადასტურდა პარტიის დიდი ზრუნვა სკოლაზე და შეუწელებელი ყურადღება მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ორგანოებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა, სამეცნიერო და მეთოდურმა სამსახურებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საშუალო განათლების შინაარსის განახლების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გარდაქმნის, მოქმედი პროგრამების სრულყოფის, ახალი სასწავლო



კურსების — „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“  
 ბის“, „საოჯახო აღზრდის ეთიკისა და ფსიქოლოგიის“, „გარესამყაროს  
 როს გაცნობის“ შემოღების, ნორმატიული დოკუმენტებისა და მეთოდური რეკომენდაციების დამუშავებისათვის.

ამასთან ერთად, კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში არ იგრძნობა საკმარისი აქტიურობა და შეუზოგრობა რეფორმის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტაში, რაც ვერ უზრუნველყოფს სკოლის ახალ თვისობრივ სიმაღლეზე აყვანას. ნელი ტემპით მიმდინარეობს მოძველებული კონცეფციების მსხვრევა, მუშაობის ახალი ფორმების ძიება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გარდაქმნა. სუსტად ხორციელდება რეფორმის ძირითადი მოთხოვნა თითოეული საგნის სწავლების დონის ამაღლების თაობაზე. ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ფორმალიზმი და ლიბერალიზმი სწავლებისა და აღზრდის საქმეში. არ არის მიღებული ვადამწყვეტი ზომები ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის. არასაკმარისი მუშაობა მიმდინარეობს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან შესაბამისობაში სასწავლო მუშაობის შინაარსის მოსაყვანად.

სერიოზული ნაკლოვანებებით და რიგი დარღვევებით ხასიათდება მუშაობა თერამეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსწლიანთა სწავლებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

არასაკმარისია სახალხო განათლების მთელი სისტემის საქმიანობა ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, მომუშავე ახალგაზრდობის სკოლების, რიგი სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის სათანადოდ ორგანიზების საქმეში, რაზედაც მკაცრად იქნა მითითებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შესაბამის დადგენილებებში.

აღმზრდელობით მუშაობაში დამკვიდრებულმა ფორმალიზმმა ხელი შეუწყო არასრულწლოვანთა გარკვეულ ნაწილს გამოველინა ცხოვრებისადმი მომხმარებლური, მეშჩანური, ეგოისტური დამოკიდებულება, იდეურ-ზნეობრივი მოთხოვნების, ინტერესებისა და მისწრაფებების სიღარიბე.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება მუშაობა დისციპლინის განმტკიცების, ბავშვთა უზენაესხედველობისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზების თვალსაზრისით. სუსტია ამ საქმეში სკოლისა და ოჯახის ურთიერთკავშირი, მშობელთა როლი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ გაწეული დახმარების, განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ რიგი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების მიუხედავად,







რესპუბლიკაში არ არის მიღწეული ძირეული გარდატეხა მასწავლებელთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული მომზადების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. დაუშვებლად წელი ტემპით ვითარდება სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და სასწავლო სამქროების ქსელი, არასაკმარისი ყურადღება ეთმობა შრომითი სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. არ შეიძლება შევურიგდეთ საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის საქმეში სკოლისა და საბაზო საწარმოს ერთობლივი მუშაობის არსებულ ტემპს.

საქმის ვითარება ადგილებზე მოწმობს, რომ არაქმედითაა განათლების დაწესებულებების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის გატარებული ზომები. სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობს მასწავლებლის ავტორიტეტის განსამტკიცებლად. ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი იმის შეგნებამ, რომ მასწავლებლის ავტორიტეტი თვით მასწავლებლის ხელშია და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მკოდნე, მაღალი ზნეობის მატარებელია იგი. სერიოზული ნაკლოვანებებია ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში. უყურადღებოდაა დატოვებული სკოლის დირექტორის, როგორც პედაგოგიური კოლექტივის წარმმართველის, როლი. მოსაწყვსრიგებელია მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ჯურსების მუშაობა.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს მეთოდური სამსახურების საქმიანობა. ისინი კვლავინდებურად ვერ უწყვეტ საქირო დახმარებას მასწავლებელს გაკვეთილის ეფექტიანობისა და შედეგიანობის ამაღლების საქმეში.

სუსტია რესპუბლიკის პედაგოგიკური მეცნიერების როლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. ასევე სუსტია მეცნიერთა კავშირი სკოლასთან, სკოლა-ინტერნატებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობაში ჭარბობს წვრილთემიანობა და პრობლემების დამუშავების არაკომპლექსურობა. სრულყოფას მოითხოვს პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩატარება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ აფხაზეთის ასსრ-ში რეფორმის განხორციელებისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკაში ძალზე წელა მიმდინარეობს სახალხო განათლების მართვის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა. არ არის გადაწყვეტილი აგრეთვე სკოლისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის პრობლემა.

სამინისტროს აპარატის მუშაკები ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ



ადგილებზე ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების პრაქტიკულად გამოყენების პროცესზე. რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს ზოგიერთი საკითხის შემოწმების ხარისხი და სიღრმე, არ არის წყვეტილი ოპერატიულობა არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და აღმოფხვრის საქმეში, რაც ძირითადად, გამოწვეულია სკოლების ერთი ნაწილის მუშაობისათვის დამახასიათებელი ნეგატიური ტენდენციების მუთფასებლობით, არსებული მდგომარეობის შელამაზების, თავლისახვევის, მოჩვენებითობის ფაქტებით.

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებანი უმრავლეს შემთხვევაში გაპირობებულია განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების უპრინციპო ხელმძღვანელობით, მუშაკთა დაბალი აქტივობით და სუსტი მისწრაფებით რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების საქმეში. ვერ იქნა მიღწეული, რომ სახალხო განათლების თითოეული მუშაკი, პედაგოგი, აღმზრდელი გამხდარიყო სასკოლო რეფორმის განხორციელების აქტიური მონაწილე.

ხელმძღვანელობს რა სკკპ 27-ე ყრილობის, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ა. მ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, კოლეგია მ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა თავიანთ უპირველეს ამოცანად გაიხადონ მუშაობის ყოველმხრივი გააქტიურება, რათა დააჩქარონ სკოლის რეფორმის რეალიზაციის ტემპი და გააღრმავონ იგი სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად;

— ფართოდ გამაღონ მუშაობა პედაგოგიკურ და მოსწავლეთა კოლექტივებში, სახალხო განათლების ორგანოებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის დოკუმენტების შესწავლის, პროპაგანდისა და განმარტების მიზნით;

— გაითვალისწინონ ყრილობების დელეგატებთან შეხვედრების მოწყობა, სასწავლო მეცადინეობების, ლექციებისა და სხვა მასობრივ-პოლიტიკური და ინდივიდუალური აღმზრდელობითი ღონისძი-

ბების ჩატარება, რომლებიც გააშუქებენ სკკპ 27-ე ყრილობისადმი პოლიტიკური მოხსენების ნოვატორულ შინაარსს. უზრუნველყონ ყრილობის მასალების შესწავლის, განმარტებისა და პროპაგანდის ურთიერთკავშირი პრაქტიკულ მუშაობასთან დასმული ამოცანების შესრულების მიზნით;

კრიტიკულად გააანალიზონ სახალხო განათლების სისტემის ყველა დაწესებულების მუშაობა სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შექმნე. მეტი შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა გამოიჩინონ მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეში. აამაღლონ პედაგოგიური კადრების აქტივობა და პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების გადაჭრისათვის;

— სრულყონ მმართველობითი მუშაობის სტილი და ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, სადირექტივო ორგანოების დადგენილებების, საკუთარი გადაწყვეტილებების, დროულ და ეფექტიან შესრულებას;

— გააძლიერონ სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა; შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლენებს ხელმძღვანელობაში;

— მიიღონ გადამჭრელი ზომები საყოველთაო საშუალო განათლების კანონის განუხრელად შესრულებისათვის. სრულყონ სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, შეუსაბამონ ისინი განათლების შინაარსსა და ცხოვრების მოთხოვნებს; გარდაქმნან სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ, თვისობრივად მაღალ დონეზე წარმართვისათვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს ცოდნის დამოუკიდებლად შევსების უნარი, მიადწიონ ყოველ გაცვეთილზე მოსწავლეების მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

— განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ახალ, სრულყოფილ პროგრამებზე გადასვლის უზრუნველსაყოფად;

— რადიკალურად გარდაქმნან ექვსწლიან ბავშვთა სწავლების ორგანიზაციის საკითხი. განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათი სწავლების შესაბამისი პირობების შექმნისათვის. მეტი ყურადღება დაუთმონ ექვსწლიანებთან მომუშავე მასწავლებელთა მეთოდურ უზრუნველყოფას;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი პედაგოგიური კადრების შერჩევისა და დანიშვნის პრაქტიკის სრულყოფისათვის, შეიმუშაონ შესაბამისი ზომები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით; აამაღლონ ხელმძღვანელი პედაგოგიუ-

როი კადრების რეზერვთან მუშაობის დონე;

— განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და პროფკავშირის რაიონულ კომიტეტებთან ერთად ფართოდ გაშალონ სისტემის დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრება სკკპ 27-ე ყრილობის, საქართველოს კპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკოლის რეფორმის მოთხოვნათა და მე-12 ხუთწლედის დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის.

2. განათლების მინისტრის მოადგილეებმა ამხ. ამხ. ლ. ვაგუამ და გ. გორგოშიძემ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული მომზადების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. მიიღონ ზომები შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) აამღლონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა და პრაქტიკული მიმართულება. გააუმჯობესონ ექსპერიმენტულ მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა; სრულყოთ საქმიანობა მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის საქმეში მოწინავე გამოცდილების გამოვლენის, შესწავლისა და განზოგადების მიზნით.

4. მოწონებულ იქნეს და საბოლოოდ დამუშავდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის განათლების სამინისტროს პროპაგანდისტულ და საორგანიზაციო-პედაგოგიურ ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დანაყოფებმა შეიმუშაონ სამინისტროს ამ გეგმის შესაბამისად სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების 1986—1990 წლების ღონისძიებათა გეგმა.



6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისრება მინისტრის მოადგილეებს (ამხ. ამხ. ლ. გაგუა, ნ. ჩიკვილაძე, ო. დოლიძე, გ. გორგოშიძე) და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

7. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვასაძე



სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური  
 პარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა  
 შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების  
 სამინისტროს პროპაგანდისტულ და საორგანიზაციო-  
 პედაგოგიურ ღონისძიებათა  
**გ ე გ მ ა**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობა და სახალხო განათლების დარგის მუშაკები შეაიარაღა სახალხო განათლების საქმისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული მრავალწლიანი პროგრამით, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის შესახებ პარტიის სტრატეგიულ მითითებებთან. სკკპ 27-ე ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია: „დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს“.

სკკპ 27-ე ყრილობამ აღნიშნა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის არასაკმარისი ტემპი და სიღრმე, მიუთითა სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობასა და ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ცხოვრების, შრომისათვის მომზადების ძირეულად გაუმჯობესებაზე.

სკკპ ყრილობის გადაწყვეტილებებმა და პარტიის პროგრამის ახალმა რედაქციამ, ითვალისწინებენ რა საბჭოთა ხალხის განათლებულობისა და მოთხოვნილებათა მაღალ დონეს. დააყენეს პარამონიულად განვითარებული და სოციალურად აქტიური ადამიანის ჩამოყალიბებისათვის ყველა საშუალების უფრო მიზანდასახულად და შემოქმედებითად გამოყენების ამოცანა. სახალხო განათლების წინაშე დასმული მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწავლებისა და აღზრდისათვის ჩასატარებელი მუშაობის შინაარსი ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონეს შეესაბამებოდეს, ამყამად სახალხო მეურნეობაში მიმდინარე შრომის შინაარსის ძირეული გარდაქმნები სკოლას ავალდებულებს უფრო ღრმად განახორციელოს თა-



ნამედროვე წარმოების საფუძვლების, მისი ინტენსიფიკაციის წამყვანი მიმართულებების სწავლების საქმე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხელმძღვანელობს რა სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით და კრიტიკულად აფასებს რა სასკოლო რეფორმის სარეალიზაციოდ გაწეული მუშაობის მდგომარეობას, სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოების, სკოლებისა და განათლების დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების ძალისხმევას წარმართავს პირველი რიგისა და პერსპექტიულ ამოცანათა პრაქტიკული განხორციელებისაკენ შემდეგი მიმართულებებით:




№	ღონისძიებათა შინაარსი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების ვადა	შესრულებისა და კონტროლის ფორმების
1	2	3	4	5
	<p>I. სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა, განმარტება და შესრულების ორგანიზაცია</p> <p>პარტიის 27-ე ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისარეშე დაწესებულებებში, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მასწავლებელთა და ხელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებში შესწავლისა და განმარტების ორგანიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და ადგილებზე დაგზავნა</p>	<p>მინისტრის პირველი მოადგილე, სამმართველო-განყოფილებათა უფროსები</p>	<p>1986 წ.</p>	



1	2	3	4	5
<p>  </p> <p>  </p>	<p>ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებისათვის დახმარების გაწევა სახალხო განათლების დარგში სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ღონისძიებათა მომზადებაში. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შესწავლა; ამ მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადება და მისი ოპერატიულად დაწერვა.</p> <p>მსმენელთა მიერ სკკპ 27-ე ყრილობის დოკუმენტების ღრმად შესწავლის მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების საკურსო მომზადების სასწავლო გეგმებისა და მშობელთა საყოველთაო განათლების პროგრამის შესწორება, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ, წინასაკურსო და კურსებშემდგომი მეცადინეობების თემატიკის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემოქმედებითი გეგმების გაფართოება. მეთოდისტების, შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებლების, „დამსახურე-</p>	<p>მინისტრის მოადგილეები, სამმართველო-კანყოფილებათა უფროსები, საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო</p> <p>მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი და ზონალური ინსტიტუტები</p>	<p>1986 წ. მუდმივად</p> <p>1986 წ.</p>	<p>საქართველოს საკონსტიტუციო საბჭო</p> <p>გასვლა ადგილებზე, საკითხების საყოველთაო მომზადება</p> <p>დამტკიცდეს საკურსო მომზადების გეგმები, შესწავლილ იქნეს მათ შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის გამოცდილება</p>





1	2	3	4	5
	<p>ბული მასწავლებლის“, „მასწავლებელ-მეთოდისტი“, „უფროსი მასწავლებლის“ წოდების მქონე მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ახალი სასწავლო თემატური გეგმების შემუშავება, გეგმებში თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლების, მისი ინტენსიფიკაციის წამყვანი მიმართულებების შესწავლის გათვალისწინება, საყოველთაო კომპიუტერული განათლების განხორციელება.</p> <p>სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წლიურ და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებში ცვლილებების შეტანა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლების, მისი ინტენსიფიკაციის წამყვანი მიმართულებების ღრმად შესწავლა, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ამ იდეების განხორციელება.</p>	<p>ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი</p>	<p>1986 წ.</p>	<p>დამტკიცდეს გეგმები სამინისტროს ზელმძღვანელობასთან, კოლეგიაზე</p>

1	2	3	4	5
=	<p>სკვპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილება-თა ცხოვრებაში ზორცუნსხმის საკითხების რეგულარულად განხილვა მასწავლებელთა აგვისტოსა და იანვრის კონფერენციებზე. მათ ჩასატარებლად და შედეგების გასაანალიზებლად სახალხო განათლების ორგანოებისათვის რეკომენდაციების დროულად დავავენა.</p>	<p>საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>სამინისტროს აპარატისა და ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაეთა მონაწილეობა, შედეგების ანალიზი</p>
=	<p>მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობისათვის (ცალკე გეგმის მიხედვით) მზადება.</p>	<p>მინისტრის მოადგილეები, საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო</p>	<p>1986—1987 წ. წ.</p>	
	<p>სკვპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სახალხო განათლების დაწესებულებებში რეფორმის განსახორციელებლად ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციის მიზნით ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში ბრიგადების კვარტალში არანაკლებ ერთხელ გავსლა.</p>	<p>საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკის 30 ქალაქისა და რაიონისათვის დახმარების გაწევა</p>
=	<p>გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციების მიერ სკვპ 27-ე ყრილობის გადა-</p>	<p>ქურნალ-გაზეთების რედაქციები</p>	<p>1986 წლის II-III კვარტალი</p>	<p>პუბლიკაციების შინაარსის ანალიზი, მათი სასწავლო.</p>



1	2	3	4	5
	<p>წყვეტილებათა ცხოვრებაში ხორცშესახს- მელად მასალების პუბლიკაციათა გეგმის შემუშავება, მათში მასწავლებელთა, აღ- მზრდელთა, პედაგოგიური კოლექტივე- ბის, სახალხო განათლების ორგანოების პრაქტიკული გამოცდილებების გაშუქება.</p> <p><b>II. რესპუბლიკაში უწყვეტი განათ- ლების ერთიანი სისტემის განსახორ- ციელებელ ღონისძიებათა მეცნიე- რული შემუშავება, ექსპერიმენტული შემოწმება და რეალიზაცია</b></p>			<p>მეთოდური საბუკონსტრუქციული მეგზუ განხილვა</p>
—	<p>ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინ- სტიტუტისა და მასწავლებელთა დახე- ლოვნების ინსტიტუტების კათედრების გეგმებში რესპუბლიკაში უწყვეტი განათ- ლების შექმნის პრობლემების გარშემო მეცნიერულ კვლევათა ჩატარებისა და რეკომენდაციების შემუშავების გათვა- ლისწინება.</p>	<p>მინისტრის მოადგილეები, ი. გოგებაშვილის სახ. პე- დაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინ- სტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალუ- რი ინსტიტუტი</p>	<p>1986 წ. 1986—1990 წ. წ.</p>	<p>კოლეგიაზე განხილვა-დამ- ტკიცება</p>
=	<p>სასკოლო განათლების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის შინაარსის გა- ანალიზება, მის საფუძველზე წინადადე- გების შემუშავება მეცნიერებათა საფუ-</p>	<p>მინისტრის მოადგილეები, ი. გოგებაშვილის სახ. პე- დაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინს-</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომებზე განხილ- ვა</p>

1	2	3	4	5
	<p>ძვლების კურსში ისეთი საკითხების შესატანად, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საგნების დიდ ზეგავლენას მოსწავლეებში ცოდნის მუდმივი შევსებისათვის მოთხოვნილების აღზრდაზე; მათში პირველწყაროებზე, საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, ამ მიზნით ინფორმაციის თანამედროვე წყაროების გამოყენების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას.</p> <p>პედაგოგიური კადრებით უწყვეტი განათლების სისტემის უზრუნველყოფა. სახალხო განათლების დაწესებულებათა თითოეული მუშაკის მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლებსა და მეთოდოლოგიურ სემინარებში მონაწილეობა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. თემატიკისა და შინაარსის განახლება საწარმოო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყველა ფორმით.</p>	<p>ტიტუტი, სკოლების სამმართველო, აღმზრდელი-თი მუშაობის სამმართველო</p> <p>მინისტრის მოადგილეები, კადრების სამმართველო</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>პოლიტიკური სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების, გეგმის შემუშავება, შედეგების ანალიზი</p>

1	2	3	4	5
	<p>III. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ მუშაობის ტემპების დაჩქარება და შინაარსის გაღრმავება</p> <p>სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შექმნე რამდენიმე რაიონის (შერჩევით) სახალხო-განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკის შესწავლა სასკოლო რეფორმით გავალისწინებულ დონისძიებათა შესრულების ტემპების დაჩქარების მიმართულებით; რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში რეფორმის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის მუდმივად განალიზება (სპეცკეგმის მიხედვით).</p> <p>ექვსი წლის ასაკიდან ბავშვთა სწავლებისათვის პირობების გასაუმჯობესებლად ორგანიზატორული მუშაობის სისტემატურად ჩატარება; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბავშვო ბაღების გეგმების შესრულებისადმი მუდმივი კონტროლის დაწესება</p>	<p>მინისტრის მოადგილეები, საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სამინისტროს სამმართველო-ვანყოფილებები</p> <p>მინისტრის პირველი მოადგილე, საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p> <p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>კოლეგიაზე რეფორმის რეალიზაციის მსვლელობის ანალიზის განხილვა</p> <p>კონტროლი და დახმარების გაწევა სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნაში, კადრებით უზრუნველყოფაში</p>

1	2	3	4	5
—	<p>სკოლაში მიღებამდე ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად ყველა იმ ბავშვის დისპანსერიზაციის, სამედიცინო შემოწმებისა და აუცილებელი მკურნალობის ჩატარება, რომელიც სწავლებას ექვემდებარება</p> <p>ყოველწლიურად ექვსწლიანი ბავშვებისათვის სახელმძღვანელოების გეგმის ზუსტი შესრულება, მასწავლებლების მეთოდური სახელმძღვანელოებითა და დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფა, ახალი სახის თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სწავლების საშუალებების შემუშავება ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით</p>	სკოლების სამმართველო	1986—1990 წ. წ.	ბავშვთა დისპანსერიზაციის გრაფიკის ყოველწლიური შედგენა და რეალიზაცია
—	<p>ყოველწლიურად არანაკლებ ხუთი რაიონის კომპლექსური შემოწმება (დამტკიცებული გეგმის მიხედვით) რეფორმის რეალიზაციის საკითხების გარშემო სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების ვადაწყვეტილებათა შუქზე. სასწავლო საგნების სწავლების დონის, მათი პოლიტექნიკური და გამოყენებითი მიმართულების, მოსწავლეთა მიერ მეცნიერების საფუძვლების დაუფლების, მათი აღზრდილობის დონის ღრმად შესწავ-</p>	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	1986—1990 წ. წ.	დახმარების გაწევა და კონტროლი ავტორთა კოლექტივების საქმიანობისადმი, გამომცემლობა „განათლებისათვის“ ერთობლივი მუშაობა, სწავლების მდგომარეობის, მოსწავლეთა ცოდნისა და აღზრდილობის დონის ანალიზი, საკონტროლო და საგამოცდო ნამუშევრების ანალიზი დამხმარე და მეთოდური მასალების გამომცემა

1	2	3	4	5
	<p>ლა, დახმარების გაწევა მასწავლებლები-სათვის სწავლების აქტიური ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში; სკოლების ხელმძღვანელებისათვის შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის ორგანიზაციაში, მეთოდური დაწესებულებებისათვის პედაგოგიურ კადრებთან მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებაში</p> <p>მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გადაჭრით გაუმჯობესების, კერძოდ, ლიტერატურის საშუალებებით, გაუმჯობესების შესახებ სკკპ 27-ე ყრილობის დეკლარატით კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით და სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ კონკურსის გამოცხადება და მასში ფართო მონაწილეობის მისაღებად ნაციონალური სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად მწერლების, მეცნიერების, გამოცდილი მასწავლებლებისა და მეთოდისტების მოწვევა</p>	<p>მინისტრის პირველი მოადგილე, სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>ეროვნული ბიბლიოთეკა</p> <p>კონკურსის დებულების დამტკიცება. სახელმძღვანელოების შემოწმებაში მონაწილეობის მიღება</p>





საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

1	2	3	4
<p>სახალხო განათლების განყოფილება და ნაციონალური სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისათვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფის საქმეში დახმარების გაწევა, ხოლო მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შემქმნელ ავტორთა კოლექტივებისათვის მეცნიერული დახმარების გაწევა</p>	<p>მინისტრის პირველი მოადგილე</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ანალიზი, მეთოდური სახელმძღვანელოების, კონსულტაციების მომზადება და ავტორთა კოლექტივებთან მუშაობა</p>
<p>რეფორმის მოთხოვნათა უთუოდ შესრულების უზრუნველსაყოფად თითოეული საშუალო და რვაწლიანი სკოლის მუშაობის ძირითად ორიენტირად აღმზრდელობითი საქმიანობის მიჩნევა, მისი შემდგომი გააქტიურების მიზნით სკოლის მიკრორაიონში არასასწავლო დროს ყველა მოსწავლის მუშაობის სხვადასხვა ფორმაში ჩაბმა. დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან ერთად რიგი სკოლისგარეშე დაწესებულებების შექმნა და მათი საქმიანობის გაფართოება</p>	<p>მინისტრის მოადგილე, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>	<p>დახმარება ადგილებზე, შედეგების შესწავლა</p>
<p>1986—1987 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის ყველა სკოლის IV, V, VI, VII, IX კლასებში გადასაყვანი გამოცდების</p>	<p>მინისტრის მოადგილე, სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პე-</p>	<p>1986—1987 წ. წ.</p>	<p>ინსტრუქციული წერილის, ბილეთებისა და საკონტრო-</p>



1	2	3	4	5
	<p>ჩატარების პრაქტიკის აღდგენა. ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების დასახმარებლად ზეპირი გამოცდებისათვის საგამოცდო ბიულეტენების, ხოლო რუსულ ენაში, მათემატიკაში, უცხოურ ენაში, ლიტერატურაში, ფიზიკასა და ქიმიაში სანიმუშო მეოთხედური საკონტროლო სამუშაოების ტექსტების კრებულების შედგენა.</p>	<p>დაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი</p>		<p>ლო სამუშაოების კრებულების მომზადება</p>
<p>დამატებითი ღონისძიებების მიღება სოფლის სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად; მათი როლის ამაღლება სოფლის სოციალური გარდაქმნის დასაჩქარებლად; სახალხო განათლების განყოფილებებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა ქსელის გაფართოების, სასწავლო-მეტერიალური ბაზის განმტკიცებისა და კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.</p>	<p>სკოლების, აღმზრდელობითი მუშაობის, კადრების, საგვემო-საფინანსო სამმართველოები ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტები</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>		<p>შემოწმების შედეგები, კოლეგიის გადაწყვეტილებათა მოხსენებითი ბარათები</p>
<p>სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და ღონისძიებათა შემუშავება მისი გაუმჯობესებისათვის; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა განათლების უინაარსის პოლიტექნიკური მიმართულების გაფართოებისათვის</p>	<p>სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინს-</p>	<p>1986—1990 წ. წ.</p>		<p>შემოწმების შედეგები, კოლეგიის გადაწყვეტილებები, წინადადებების მომზადება და მოხსენებითი ბარათები</p>

1	2	3	4	5
	<p>სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შექმნა და სასწავლო-აღმწერდებლობით პროცესში მათი გამოყენება</p>	<p>ტიტუტი და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი</p>		
—	<p>ქართულ ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში ქართულ ენაზე ორიგინალური ფილმების შექმნისა და ტრიაჟირების ორგანიზაცია</p>	<p>მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკური ფილმოთეკა, მომარაგების მთავარი სამმართველო</p>	1986—1990 წ. წ.	წინადადებების მომზადება და კოლეგიაზე დამტკიცება
